



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირიგაცია

ირიგაცია (ლათ. irrigatio – მორწყვა, შესხურება), 1. მ ე დ ი ც ი ნ ა შ ი – სამკურნალო პროცედურა, ანთებითი ქსოვილის მოსხურება წყლის ან სამკურნალო სითხის ნაკადით. ფართოდ იყენებენ ქირურგიაში, უროლოგიაში, გინეკოლოგიაში და სხვ. ი-თვის დანიშნულ ცისტოკოპებსა და ურეტროსკოპებს საირიგაციო ხელსაწყოებს (იარაღებს) უწოდებენ; 2. ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შ ი – ნაკლებტენიან მიწაზე წყლის სისტემის გაყვანა, რაც ზრდის ნიადაგის ფესვთსამყოფელ შრეში ტენის მარაგს. მელიორაციის ერთერთი სახე. იხ. აგრეთვე *რწყვა*.
